



ICT სექტორის გავლენა ეკონომიკური ზრდის მარვენებლებზე



შინაარსი

ძირითადი მიგნებები.....	3
ICT სექტორი ეკონომიკურ მაჩვენებლებში	4
IT სექტორის საგადასახადო შეღავათები	10
ბინადრობის ნებართვა IT სპეციალისტებისთვის	11
IT სექტორის წარმომადგენლები საქართველოში.....	11
მსხვილი უცხოური IT კომპანიები საქართველოში.....	17
დასკვნა	23

ძირითადი მიგნებები

- ICT სექტორზე ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის დაახლოებით მესამედი მოდის, ბოლო წლებში კი სექტორი მშპ-ს ზრდის ერთ-ერთ მთავარ კონტრიბუტორად იქცა.
- ადგილობრივ ბაზარზე დაბალი რეალიზაციისა და დაწესებული შეღავათების ფონზე, ICT სექტორის ასახვა მოსახლეობის კეთილდღეობაზე ფრაგმენტულია.
- 2022 წლიდან 2024 წლის ჩათვლით, ICT სექტორში რეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა გაორმაგდა. სექტორში რეგისტრირებული უცხოური საწარმოების 99% მცირე ზომისაა, და ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის.
- 2025 წელს, ქვეყანაში IT სექტორში მხოლოდ 18 ახალი კომპანია დარეგისტრირდა, რაც მიუთითებს, რომ წინა წლებში სექტორის ზრდა უმეტესად მიგრაციული ეფექტით იყო განპირობებული.
- ქვეყანაში მოქმედი IT კომპანიების 56% რუსულია. დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც IT სექტორის წარმომადგენლობისთვის საქართველოს ბინადრობის მიღება მარტივდება, შესაძლოა რუსეთის მოქალაქეებისთვის ბინადრობის გამარტივების საშუალებად იქცეს.
- IT სექტორი საქართველოში შეიძლება ვითარდებოდეს როგორც დასაქმების და ბრუნვის მაჩვენებლებით ძლიერი სექტორი, მაგრამ რეალურად ფისკალური ეფექტი და ადგილობრივი კომერციალიზაცია დაბალია - საკანონმდებლო შეღავათების ბიზნესმოდელის გამო.
- შესწავლილი IT კომპანიების ნაწილში, რუსი და ბელარუსი სპეციალისტების საქართველოდან რელოკაციის გამო, მსხვილ IT კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა. სწორედ დასაქმებულთა შემცირება სახელდება უახლეს საკანონმდებლო ცვლილებებში IT სფეროს წარმომადგენლებისთვის ბინადრობის ნებართვის მინიჭების გამარტივების საფუძვლად.


ICT სექტორი ეკონომიკურ მაჩვენებლებში

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში 2025 წლის პირველ 5 თვეში ეკონომიკა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 8.8%-ით გაიზარდა, წლის პირველი კვარტლის საშუალო ზრდა კი 9.3%-ია. მოცემულ სტატიაში IDFI შეეცადა გაეანალიზებინა თუ რომელი ფაქტორები ახდენს გავლენას ეკონომიკური ზრდის ფორმირებაზე და აისახება თუ არა რიცხვებში გამოხატული მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მოსახლეობის შემოსავლებსა და ცხოვრების დონეზე.

ბოლო წლებში, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ფაქტორებმა მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა. თუკი წლების წინ ეკონომიკური ზრდის ფორმირებაში წამყვანი როლი ეკავა ისეთ სექტორებს, როგორიცაა მაგალითად ვაჭრობა და მშენებლობა, დღეს მშპ-ს ზრდის მთავარი კონტრიბუტორი ტექნოლოგიები და ბიზნეს-სერვისებია. ეს ცვლილებები ასახავს როგორც გლობალურ ტენდენციებს, ისე ქვეყნის შიგნით მიმდინარე ტენდენციებს. მაგალითად თუკი 10 წლის წინ სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 60%-ს აღწევდა, 2024 წელს სექტორის ზრდის მაჩვენებელი 7.4% იყო; თუკი მშენებლობის სექტორის ზრდა 25%-ს აღემატებოდა, 2024 წელს ეს მაჩვენებელი 14%-ის ფარგლებშია. ICT სექტორი კი ერთ-ერთია, იმ სექტორებს შორის რომელიც მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს - თუკი 2015 წელს სექტორის ზრდის მაჩვენებელი 9%-ის ფარგლებში იყო, 2024 წელს მან 25%-ს მიაღწია.


2025 წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში დაფიქსირებული 9.2%-იანი ეკონომიკური ზრდიდან თითქმის მესამედი სწორედ ICT სექტორზე მოდიოდა.

მშპ-ს ზრდის ტემპებს შორის სხვაობა 2015-2024




წყარო: სტატისტიკა, IDFI

ეკონომიკური სექტორების კონტრიბუცია ეკონომიკურ ზრდაში - % 2025 წელი, I კვარტალი




წყარო: საქსტატი

ICT სექტორის (ინფორმაცია და კომუნიკაცია) რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებელი მკვეთრ ზრდას 2020 წლის შემდგომ აჩვენებს. ეს ორი ფაქტორით აიხსნება - ერთის მხრივ კოვიდ პანდემიის პერიოდში, ტექნოლოგიურმა გადაწყვეტებმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი შეიძინა, მეორეს მხრივ კი 2022 წლიდან (რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდგომ) ქვეყანაში მიგრანტების დიდი ნაკადი შემოვიდა, რომელთა უმეტესობა სწორედ ICT სექტორშია დასაქმებული.




წყარო: საქსტატი

სექტორის რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე კი ძირითადად ორი ფაქტორი ახდენს გავლენას - სექტორის ბრუნვის მაჩვენებელი და გამოშვებული პროდუქციის ღირებულება. სექტორის პროდუქციის გამოშვება ნიშნავს იმ საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას, რომელიც ბიზნესმა აწარმოა გარკვეულ პერიოდში - ამ მხრივ კი ICT სექტორი ბოლო წლებში ეკონომიკურ სექტორებს შორის ყველაზე დიდი ზრდით გამოირჩევა. ასე მაგალითად, 2025 წლის პირველ კვარტალში, წინა წელთან შედარებით ზრდა თითქმის 100%-იანი იყო.




წყარო: საქსტატი, 2025 წლის I კვარტალი

ჯამურად, წლის პირველ კვარტალში ბიზნეს სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია წინა წელთან შედარებით 15.6%-ით გაიზარდა - ზრდის თითქმის ნახევარი კი ერთ სექტორზე - ICT-ზე მოდიოდა.




წყარო: საქსტატი, 2025 წლის I კვარტალი

ანალოგიურად, ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებლითაც ICT სექტორი ლიდერობს. ბრუნვა არის საანგარიშო პერიოდში კომპანიის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). საქსტატის კლასიფიკაციით, ბრუნვა ასევე მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). ბრუნვაში არ ითვლება აქტივების გაყიდვა და აგრეთვე სუბსიდიები.



წყარო: საქსტატი, 2025 წლის I კვარტალი

**ბიზნეს სექტორის ბრუნვის მაჩვენებელი სექტორების მიხედვით
2025 წელი I კვ.**



წყარო: საქსტატი, 2025 წლის I კვარტალი

აღსანიშნავია რომ ბიზნეს სექტორის მთლიანი ბრუნვის მოცულობის თითქმის 70% ორ სექტორზე მოდის - აქედან 50% კი აზარტული თამაშების სექტორს უკავია, რომლის ბრუნვის მაჩვენებლის ზრდას მეთოდოლოგიური სხვაობა იწვევს, რომელზეც IDFI აღრევ [წერდა](#).


გამომდინარე იქიდან რომ ქვეყანაში რეგისტრირებული ICT საწარმოების უმეტესობა უცხოურია, სავარაუდოა, რომ სექტორის მიერ შექმნილი დოვლათის დიდი ნაწილი ქვეყნიდან გადის, რადგან პროდუქტის ინტელექტუალური საკუთრება და საბოლოო გაყიდვა უცხოეთში ხდება. ბიუჯეტში კი ძირითადად მხოლოდ ხელფასებიდან მიღებული გადასახადები შედის.

საქართველოში უცხოური ICT კომპანიები სარგებლობენ მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით, რის შედეგადაც გათავისუფლებული არიან მოგების გადასახადისგან, თუ პროდუქტი ექსპორტზე გადის.

შედეგად: სექტორის ბრუნვა მაღალია, მაგრამ ქვეყანაში დარჩენილი რეალური ფისკალური ეფექტი დაბალი. ქვეყანას ჰყავს განვითარებადი IT სექტორი სტატისტიკურად, მაგრამ მის მიერ შექმნილი ღირებულება სწრაფად გადის გარეთ.

IT სექტორის საგადასახადო შეღავათები

IT სექტორის კომპანიები ორი ძირითადი შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმით სარგებლობენ: საერთაშორისო კომპანიის სტატუსითა და ვირტუალური ზონის სტატუსით. საერთაშორისო სტატუსის მქონე კომპანიებისთვის დაწესებული საგადასახადო შეღავათები [შემდეგია](#): საერთაშორისო კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი 5%-ით იბეგრება, ასევე, საერთაშორისო კომპანიის მოგების გადასახადის განაკვეთია 5%. საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე პირს უფლება აქვს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომსახურება გაუწიოს მხოლოდ იმ პირებს, რომელთა რეგისტრაციის ადგილი ან მართვის ადგილი არის საქართველოს ფარგლებს გარეთ. იმისათვის, რომ საწარმოს მიენიჭოს საერთაშორისო კომპანიის სტატუსი საჭიროა მას ჰქონდეს საქმიანობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება. ვირტუალური ზონის სტატუსის [შემთხვევაში](#) კი არ იბეგრება კომპანიის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდებით მიღებული მოგება; ასევე არ იბეგრება საქართველოს ფარგლებს გარეთ მიწოდება დამატებული ღირებულების გადასახადით; საქართველოს საბაჟო ტერიტორიიდან გატანა ექსპორტის გადასახდელით. ამასთან, ბოლო პერიოდში დამკვიდრებული [მიდგომით](#), IT კომპანიებს შეუძლიათ ისარგებლონ საგადასახადო შეღავათებით იმ შემთხვევაშიც, თუკი დასაქმებული პირი ფიზიკურად არ ცხოვრობს საქართველოში, იმ დათქმით რომ კომპანია გადაიხდის საშემოსავლო გადასახადს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად.




ბინადრობის ნებართვა IT სპეციალისტებისთვის

როგორც ზევით აღინიშნა, მსხვილ IT კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა გარკვეული კომპანიების შემთხვევაში, შემცირების ტრენდს აჩვენებს, რის მიზეზადაც რუსი და ბელარუსი სპეციალისტების რელოკაცია სახელდება. სწორედ სპეციალისტების ნაკლებობა სახელდება იმ კანონპროექტის ინიციატორების მხრიდან მთავარ არგუმენტად, რომლის მიხედვითაც, საქართველოში IT სფეროში დასაქმებულებისთვის, ბინადრობის მიღება მარტივდება.

კერძოდ, საქართველოში IT სფეროში დასაქმებული უცხოელებისათვის 3 წლიანი ბინადრობის მიღება ხდება შესაძლებელი. კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ “საერთაშორისო IT კომპანიის სტატუსის მქონე ერთ კომპანიაში 2024 წელს საშუალოდ დასაქმებულთა რაოდენობა 2022 წელთან შედარებით 51%-ით შემცირდა”. ცვლილება “უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ” კანონში შედის, რომლის მიზანიც “ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით პროფესიონალი კადრების მოზიდვაა”. კანონპროექტის ინიციატორების [განმარტებით](#), თანამედროვე ტექნოლოგიური განვითარების ტემპი საჭიროებს დარგის მცოდნე სპეციალისტების ინტეგრირებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ახალი კადრების მომზადებას. კანონში ინიცირებული ცვლილებების მიხედვით, საქართველოში დროებითი ბინადრობის ნებართვა პირველად 3 წლით გაიცემა, შემდეგ კი დროებითი ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა ყოველ ჯერზე შეიძლება 3 წლის ვადით გაგრძელდეს, არაუმეტეს 12 წლამდე. IT სფეროში დასაქმებული პირის ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადა წყდება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნებართვის მქონე პირი ფაქტობრივად არ იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღე ან მეტ ხანს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის პერიოდში. კანონპროექტის ინიციატორები ელიან, რომ IT კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტში დასაქმებულ პირთა რაოდენობა 5 წელიწადში, ზრდის ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში 6,284-ს გაუტოლდება, ხოლო საკანონმდებლო ცვლილებების შემთხვევაში, 24,000-ს.


IT სექტორის წარმომადგენლები საქართველოში

სტატისტიკის ეროვნული სამსახური “ინფორმაციისა და კომუნიკაციის დარგში” (ICT) აერთიანებს არამხოლოდ IT სექტორს, არამედ ტელე-რადიო მაუწყებლებს, სატელეკომუნიკაციო კომპანიებს, საგამომცემლო საქმიანობებს - ქვემოთ მოცემულ ანალიზში კი განხილულია მხოლოდ იმ კომპანიების საქმიანობა რომლებიც უშუალოდ IT საქმიანობას ეწევიან.




წყარო: საქსტატი

სექტორში რეგისტრირებული კომპანიების რაოდენობამ პიკს 2022 წელს მიაღწია - როდესაც ქვეყანაში დიდი რაოდენობით მიგრანტები შემოვიდნენ. კერძოდ, 2022 წელს თითქმის 15, 000-მდე ახალი კომპანია დარეგისტრირდა, 2023 წელს 9,700, 2024 წელს 2,181, 2025 წელს რეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა კი 18-მდე შემცირდა.




წყარო: საქსტატი

საქართველოში რეგისტრირებული კომპანიები სექტორების მიხედვით




წყარო: საქსტატი


რეგისტრირებული კომპანიების უმეტესობის მიგრაციასთან კავშირს ორი ფაქტორი მიაჩნდება - რეგისტრირებული კომპანიების წარმოშობა და სამართლებრივი ფორმა. კერძოდ, კომპანიების აბსოლუტური უმეტესობა მცირე ზომისაა და ინდივიდუალურ მეწარმეებს წარმოადგენს. ამ ფონზე, ჯამურად ICT სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ბოლო წლებში გაორმაგდა, თუმცა მიგრანტების ეფექტის მიღწევის ფონზე, მსხვილ IT კომპანიებში დასაქმებულთა რაოდენობა შემცირდა, რასაც კომპანიები თავიანთ აგარიშებში რუსეთიდან და ბელარუსიდან დასაქმებული პირების რელოკაციით ხსნიან.



წყარო: საესტატი




წყარო: საესტატი



წყარო: საქსტატი

გამომდინარე იქიდან რომ ქვეყანაში მოქმედი მსხვილი IT კომპანიების უმეტესობა მომსახურებას საზღვარგარეთ ყიდის, მნიშვნელოვან ზრდას აჩვენებს სექტორის სერვისების ექსპორტის მაჩვენებელიც. კერძოდ, 2023 წელს აღნიშნულმა 890 მლნ. დოლარს გადააჭარბა, მაშინ როდესაც მაგალითად 2021 წელს ICT სერვისების ექსპორტის მაჩვენებელი თითქმის ოთხჯერ ნაკლები იყო და 215 მლნ. დოლარს შეადგენდა.



წყარო: საქსტატი

2025 წლის 1 ივნისის მდგომარეობით, IT სექტორში მოქმედი კომპანიებიდან მსხვილი კომპანიის სტატუსი მხოლოდ 12-ს აქვს, საშუალოს სტატუსი 61-ს ხოლო 21,142 კომპანია მცირე ზომისაა. საწარმოთა ზომის განსასაზღვრად შემდეგი მეთოდოლოგია მოქმედებს: მსხვილ საწარმოებს განეკუთვნება საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 249 პირს ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. ლარს; საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება კომპანია რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 250 პირამდე, ან საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე; მცირე ზომის საწარმოებს კი მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 50 დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, “ინფორმაციისა და კომუნიკაციის” სექტორის ბრუნვის უმეტესობა მსხვილ კომპანიებზე მოდის. თუმცა როგორც ზევით აღინიშნა, სექტორი აერთიანებს სატელეკომუნიკაციო და სატელევიზიო კომპანიებსაც - ასე მაგალითად ტელეიმედი, სს მედიაჰოლდინგი, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ფორმულა, მაგთი, სელფი, სილქნეტი, გლოვო, ვოლტი, იანდექსი, ევოლუმენ ჯორჯია - აღნიშნული კომპანიები მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, “საინფორმაციო და საკომუნიკაციო” სექტორის

ყველაზე მსხვილი ბრუნვის მქონე 30 კომპანიას შორის არიან. აღნიშნული კი გავლენას ახდენს სექტორის ჯამურ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე - მაგალითად: წლიურად 100 მლნ ლარამდე დაფინანსება, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი იღებს სახელმწიფოსგან და სააბონენტო გადასახადები რომელსაც სატელეკომუნიკაციო კომპანიები იღებენ ყოველთვიურად.

მსხვილი უცხოური IT კომპანიები საქართველოში

საქართველოში მოქმედ უცხოურ IT კომპანიებს ორი საგადასახადო შეღავათით შეუძლიათ ისარგებლონ: ვირტუალური ზონის სტატუსი და საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. „ვირტუალური ზონის პირები“ თავისუფლდებიან მოგების გადასახადისგან მოგებაზე, რომელიც მათ მიიღეს პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების (მაგალითად, ვებ-გვერდი, მობილურის აპლიკაცია, software პროგრამა) უცხოელი კლიენტებისთვის შექმნით და მიწოდებით. აქამდე თუ პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტი უშუალოდ საქართველოს ტერიტორიაზე არ იყო შექმნილი, მოგება ასეთი პროდუქტის მიწოდებაზე არ თავისუფლდებოდა გადასახადისგან, თუმცა ბოლო პერიოდში **შეცვლილი მიდგომით კომპანიებს შეუძლიათ საზღვარგარეთ მცხოვრები პირის დაქირავება და შესაბამისად საზღვარგარეთ შექმნილი სერვისის რეალიზება მოგების გადასახადის გადახდის გარეშე - თუმცა იმ დათქმით რომ კომპანია კვლავაც გადაიხდის საშემოსავლო გადასახადს.** საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე კომპანიებს კი უფლება აქვთ, საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში მომსახურება გაუწიონ მხოლოდ იმ პირებს, რომლის რეგისტრაციის ადგილი არის საქართველოს ფარგლებს გარეთ. თუმცა საწარმო სტატუსის ფარგლებში ნებადართულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს საქართველოში.

IDFI-იმ სტატისტიკის ეროვნული სამსახურისგან გამოითხოვა ინფორმაციისა და კომუნიკაციის სექტორის იმ 30 კომპანიის შესახებ ინფორმაცია, რომლებსაც წლის პირველ კვარტალში ყველაზე მაღალი ბრუნვა უფიქსირდებოდათ. 30 კომპანიიდან უშუალოდ IT საქმიანობით (საქმიანობები, როლის განხორციელების შემთხვევაში კომპანიას შეუძლია მიიღოს შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი და საერთაშორისო კომპანიის სტატუსი) 19-ია დაკავებული. რაც შეეხება დანარჩენ 11 კომპანიას შემდეგია: სელფი მობაილ, სილქნეტი, აჭარა.ქომ, გლოვო ჯორჯია; ევოლუშენ ჯორჯია, ვოლტ ჯორჯია, კავკასუს ონლაინი, მაგთიკომი, სეტანტა სპორტს მედია, მეიჯერელ საქართველო, შპს "რაიდტექ ჯორჯია" (Yandex Go-ს და Uber GE-ს ოპერატორი საქართველოში).

19 IT კომპანიიდან, საერთაშორისო კომპანიის სტატუსი 8-ს აქვს; დამატებით ერთი კი ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაშია რეგისტრირებული. ყველაზე მსხვილი ბრუნვის მქონე კომპანიებიდან 7-ის ფინანსური ანგარიშგება საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის რადგან ბოლო ხელმისაწვდომ წლებში (2022-23) კომპანიებს IV ანუ მცირე ზომის კომპანიების სტატუსი ჰქონდათ და ბუღალტრული აღრიცხვის პორტალზე ანგარიშები ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული 7 კომპანიაა - ფინტექსი, საერთაშორისო სერვისი, მასტერ სერვისი, გლობალ აუდიტი, გლობალ ანალიზი, ატლასი პლიუსი, მულტიმაქს გრუპი. რაც შეეხება კომპანიას,

რომელიც ქუთაისის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაშია რეგისტრირებული - კომპანია “აითილუბ”, რომელიც საქართველოს მოქალაქეების მიერ დაფუძნებული კომპანიაა, ის სემეკის [მონაცემებით](#), საქართველოში ელექტროენერგიის მომხმარებელ ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ კომპანიებს შორისაა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნებული არ არის. ანგარიშგების წარუდგენლობის გამო კომპანიას ბუღალტრული აღრიცხვის საბჭოსგან მიმდინარე წელს გაფრთხილება მიეცა. საქსტატის მონაცემებით კომპანიის ძირითადი საქმიანობა კომპიუტერული საშუალებების მართვაა, თუმცა თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს რომ ელ.ენერგიის პირდაპირი მომხმარებლების უმეტესობა რომლებიც თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ოპერირებენ, კრიპტო მაინინგით არიან დაკავებული, ჩნდება ვარაუდი, რომ აღნიშნული კომპანიის ძირითადი საქმიანობაც სწორედ მაინინგს უკავშირდება.

ყველაზე მსხვილი ბრუნვის მქონე კომპანიებს შორის მოხვდა ქართული წარმომავლობის კომპანია შპს სმარტსოფტი, რომელიც ქმნის ონლაინ აზარტული თამაშების ტიპის პროგრამებს და აწვდის მათ სხვადასხვა ბიზნესოპერატორებს და ნოვენთიქ საქართველო, რომლის 90%-ს კაიმანის კუნძულებზე რეგისტრირებული Noventiq Holdings PLC ფლობს. აღსანიშნავია რომ კომპანია აქტიურად იღებს მონაწილეობას სახელმწიფო ტენდერებში და 301 ტენდერის გზით, საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან 19.4 მლნ ლარზე მეტი აქვს მიღებული.

საერთაშორისო სტატუსის მქონე 8-დან ორი კომპანიის - “ვებიზ ფლეის” და “ლაითსპიდ საქართველოს” ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის გვერდზე არ იძებნება. აღსანიშნავია, რომ კომპანია “ვებიზ ფლეი”, რომლის წარმომავლობა ისრაელია, თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაშია რეგისტრირებული და ის საერთაშორისო კომპანიის სტატუსისთ 2024 წლიდან სარგებლობს. რაც შეეხება “ლაითსპიდ საქართველოს” კომპანია 2022 წელს დარეგისტრირდა და საერთაშორისო კომპანიის სტატუსი 2023 წელს მიენიჭა. კომპანიის 100%-ს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ეკვიდ” ფლობს, რომელიც აშშ-შია რეგისტრირებული, ღირექტორები კი რუსეთის მოქალაქეები ნიკოლაი კოლესნიკი და მაქსიმ ივანოვი არიან.

ყველაზე მსხვილი ბრუნვის მქონე, საერთაშორისო სტატუსის დანარჩენი კომპანიები კი შემდეგია:

(კომპანიები არ არის დალაგებული რეიტინგის მიხედვით)

შპს ჯუთთიქლაუდ

წარმომავლობა: რუსეთი

საგადასახადო რეჟიმი: საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

კომპანია საქართველოში 2022 წლის 10 მარტს დარეგისტრირდა - იმ პერიოდში როდესაც ქვეყანამ რუსეთიდან მიგრანტების პირველი ტალღა მიიღო. კომპანიის 100%-იანი წილის

მფლობელი, დირექტორი და საბოლოო ბენეფიციარია რუსეთის ფედერაციის მოქალაქე დავიდ სლონიმსკია.

„ჯეთთიქლაუდის“ ძირითადი საქმიანობა მოიცავს ღრუბლოვან (cloud-based) IT მომსახურებებს, მათ შორის: მობილური აპლიკაციების განვითარება; ვებპლატფორმების შექმნა; ქსელის ოპერირება, ინჟინერია და QA სერვისები.

კომპანიის ფინანსური ანგარიშის მიხედვით, ის თანამშრომლობს მხოლოდ ერთ დამკვეთთან - ამერიკულ ტექნოლოგიურ გიგანტთან RingCentral-თან. „ჯეთთიქლაუდს“ RingCentral-თან გაფორმებული აქვს ხუთწლიანი მომსახურების კონტრაქტი, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფს უწყვეტ IT მხარდაჭერას. 2023 წლის მონაცემებით, კომპანია ასაქმებდა 500 IT სპეციალისტს (წინა წელს - 763).

ფინანსური მაჩვენებლები (2023 წელი)

- ჯამური შემოსავალი: 177,081,186 ლარი
- საერთო მოგება: 51,317,706 ლარი
- წმინდა მოგება: 35,800,000 ლარი
- გადახდილი მოგების გადასახადი: 1,300,000 ლარი

მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის 100% შემოსავალი მიღებულია მხოლოდ ერთ უცხოელ დამკვეთთან თანამშრომლობით, რაც იმას ნიშნავს, რომ ის **არ ახორციელებს გაყიდვებს საქართველოს შიდა ბაზარზე.**

2023 წლის მდგომარეობით, შპს „ჯეთთიქლაუდი“ არ ფლობდა საერთაშორისო კომპანიის (IC) სტატუსს, რომელიც კომპანიამ მხოლოდ 2025 წელს მიიღო. მიუხედავად ამისა, 2023 წელს გადახდილი მოგების გადასახადი მხოლოდ 1.3 მილიონი ლარია, რაც დაახლოებით 3.5%-იან ეფექტურ დაბეგვრას შეესაბამება. ეს მიუთითებს იმაზე, რომ კომპანიას დიდი ალბათობით ჰქონდა ვირტუალური ზონის პირის (VZP) სტატუსი, რომელიც საქართველოში მოქმედი ტექნოლოგიური ექსპორტიორებისთვის ერთ-ერთი ძირითადი საგადასახადო შეღავათია.

შპს ეპამ სისტემსი

წარმომავლობა: აშშ

საგადასახადო რეჟიმი: საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

შპს „ეპამ სისტემსი (ჯორჯია)“ არის აშშ-ში რეგისტრირებული კომპანიის EPAM Systems Inc.-ის შვილობილი კომპანია. ის საქართველოში დაფუძნდა 2020 წლის ოქტომბერში და წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხვილეს გლობალურ ტექნოლოგიურ კომპანიას, რომელიც ოპერირებს

საქართველოდან. კომპანია სპეციალიზებულია: ციფრული პლატფორმების ინჟინერიაში; პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაში; კომპლექსური ტექნოლოგიური გადაწყვეტების მიწოდებაში გლობალური კლიენტებისთვის. „ეპამ ჯორჯია“ უზრუნველყოფს აპლიკაციებისა და პროგრამული პროდუქტების განვითარებას, რომლებიც მიწოდებულია EPAM-ის საერთაშორისო კლიენტებისათვის. 2023 წელს კომპანიის ძირითადი ბიზნეს აქტივობები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, აზიაში და ავსტრალიაში.

კომპანია არ ოპერირებს ქართულ ბაზარზე და მის კლიენტთა ბაზა სრულად უცხოურია.

ფინანსური მაჩვენებლები:

დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წლის ბოლოს: 3,517 ადამიანი (შედარებისთვის: 2022 წელს – 5,068 ადამიანი. შემცირება ძირითადად განპირობებული იყო რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინიდან გადმოსული თანამშრომლების სხვა ლოკაციებში გადანაწილებით).

შემოსავალი: 538,301,000 ლარი

წმინდა მოგება: 60,165,000 ლარი

გადასახადები: 1 022 000 ლარი

შპს „ეპამ სისტემს (ჯორჯია)“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის დადგენილებით მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის (IC) სტატუსი.

შპს ანდერსენ

წარმომავლობა: ბელარუსი / კვიპროსი / ლიტვა / უკრაინა

საგადასახადო რეჟიმი: საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

შპს „ანდერსენ“ 2022 წლის მაისში დარეგისტრირდა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: კომპიუტერული და პროგრამული მომსახურება. დასაქმებულთა რაოდენობა 2023 წლისთვის იყო 207. კომპანიამ საერთაშორისო კომპანიის სტატუსი მიიღო 2022 წლის ოქტომბერში.

შემოსავალი: 30 551 173 ლ

თანამშრომლების ხელფასები: 10 302 057 ლ

მოგების გადასახადი: 544 178 ლ

წმინდა მოგება: 15 722 780 ლ

შპს გეიმტექ

წარმომავლობა: კვიპროსი / რუსეთი

საგადასახადო რეჟიმი: საერთაშორისო კომპანიის სტატუსი

შპს გეიმტექი დაარსდა 2016 წელს და მისი ფუნქციონირების სფეროს წარმოადგენს: პროგრამული უზრუნველყოფისა და კომპიუტერული თამაშების შექმნა. კომპანიის 45%-ს ფლობს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გეიმტექ კვიპროსი. დანარჩენი წილები განაწილებულია ფიზიკურ პირებს შორის შემდეგნაირად: ანიფე ბაზიროვა (რუსეთის ფედერაცია) - 10%, ანდრეი ზაბოლოტნი (რუსეთის ფედერაცია) - 22% და ვალენტინ აბალმასოვი (რუსეთის ფედერაცია) - 23%.

2024 წლის ბოლოსთვის კომპანიაში 160 ადგილობრივი პირი იყო დასაქმებული. 2023 წლის 20 მარტს კი კომპანიას მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი. 2023 წლიდან მოყოლებული კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები მკვეთრ ზრდას აჩვენებს - კერძოდ, თუკი 2022 წელს კომპანიის შემოსავალი 5 მლნ. ლარს შეადგენდა, 2023 წელს მან 50 მლნ ლარს გადააჭარბა. (2023 წლამდე კომპანიას ე.წ. IV კატეგორიის სტატუსი ჰქონდა, რის გამოც მისი ფინანსური მაჩვენებლები საჯაროდ ხელმისაწვდომი არ არის).

კომპანიის მომსახურებას ყიდულობს კვიპროსში დაფუძნებული კომპნია Limited Liability Company GAMETEQ CYPRUS - რომელიც კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელია.

ფინანსური მონაცემები 2024 წლის ბოლოს:

შემოსავალი: 44 208 895 ლარი

შრომის ანაზრაურება - პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინრები - 21 150 766

წმინდა მოგება: 4 099 957 ლარი

მოგების გადასახადი: 22 645 ლარი

დამფუძნებლებზე გაცემული დივიდენდი:

- Limited Liability Company GAMETEQ CYPRUS 2 863 515 ლარი
- ანიფე ბაზიროვა - 240 246 ლარი
- ანდრეი ზაბოლოტნი - 528 541 ლარი
- ვალენტინ აბალმასოვი - 552 566 ლარი.

(საერთაშორისო კომპანიის მიერ გაცემული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება.)

შპს აიტი გარაჟი

შპს „აიტი გარაჟი“ დაფუძნდა 2022 წელს. კომპანიის დაფუძნების დღისთვის 100%-იანი წილის მფლობელი იყო საქართველოს მოქალაქე დავით ჯანელიძე. 2023 წლის 6 ივნისს, კი შპს „აიტი გარაჟი“-ს 51%-იანი წილის მფლობელი გახდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბრაგონა ტექნოლოჯი“, არაბთა გაერთიანებული საემიროებიდან. ამავე წელს კომპანიამ მიიღო საერთაშორისო კომპანიის სტატუსი.

კომპანიის შემოსავალი 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით გაორმაგდა და 34.8 მლნ ლარი შეადგინა. თუმცა კომპანიის მიერ სახელმწიფოსთვის გადახდილი გადასახადები 2023 წელს მხოლოდ 38 521 ლარით გაიზარდა.

ფინანსური მაჩვენებლები:

შემოსავალი რეალიზაციიდან: 34 870 406 ლ

ხელფასები: 12 932 232 ლ

მოგება: 5 041 980 ლ

გადასახადები: 114 689 ლ

- საშემოსავლო გადასახადი 14,682
- მოგების გადასახადი 67,286
- ქონების გადასახადი 11,605
- დამატებული ღირებულების გადასახადი 21,115

სს სფეის ინტერნეშენალი

საგადასახადო რეჟიმი: საერთაშორისო კომპანია, 2024 წლის ივლისიდან.

სააქციო საზოგადოება Space International-ი “თიბისი ჯგუფის” შვილობილი ქართული ციფრული ფინტექ-პლატფორმაა, რომელიც საქართველოდან უზბეკეთში ტექნოლოგიურ და პროფესიონალურ სერვისებს ციფრულ ბანკ TBC UZ-ს და გადახდების პლატფორმა Payme-ს აწვდის. 2023 წლის ბოლოს კომპანიაში 350 ადამიანი იყო დასაქმებული.

დასკვნა

ბოლო წლებში საქართველოს ტექნოლოგიურ სექტორში - IT და პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით, აშკარა დინამიკური ზრდა შეიმჩნევა. საერთაშორისო კომპანიების საქართველოში შემოსვლა და ადგილობრივი ინოვაციური ბიზნესების გაძლიერება ქმნის მაღალ კონკურენტულ სამუშაო ადგილებს.

თუმცა, სექტორის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში რიცხვებით გამოხატული კონტრიბუცია, იმავე მასშტაბით ვერ ახდენს გავლენას ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. კერძოდ, უცხოური კომპანიების დომინაცია, დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების მაღალი წილი, არსებული საგადასახადო შეღავათები და ადგილობრივი რეალიზაციის დაბალი დონე, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის შიგნით სექტორის მიერ შექმნილ დოვლათზე.

ბოლო წლებში საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში, IT სექტორის არსებული ეფექტის მიღწევა ძირითადად შესაძლებელი გახდა რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ საქართველოში IT სპეციალისტების გაზრდილი მიგრაციით. მიგრაციის ეფექტის მიღწევის ფონზე, სექტორის ეკონომიკურ ზრდაში არსებული კონტრიბუციის ტემპის შენარჩუნების სურვილი, საქართველოს ხელისუფლებას უჩენს ცდუნებას ცალკეული საგადასახადო (საშემოსავლო შეღავათების გავრცელება საზღვარგარეთ მცხოვრები თანამშრომლებისთვისაც) და ბინადრობის უფლებასთან (IT სფეროში დასაქმებული პირების ბინადრობის ნებართვის მოქმედების ვადის ზრდა) დაკავშირებული შეღავათების დაწესების, რომელიც პირველ შემთხვევაში კიდევ უფრო ფრაგმენტულს ხდის სექტორის რეალურ ეკონომიკურ ეფექტს, ხოლო მეორე შემთხვევაში მიგრაციიდან მომდინარე სახელმწიფო უსაფრთხოების გამოწვევებს.